ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.28/10/139

ქ.თბილისი 23 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობა** (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი **გამგებლის მ/შ გოჩა ჯანელიძის** სახით და მეორეს მხრივ, **ს.ს. ელიტ ელექტრონიქსი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი ფილიალის მენეჯერის **გიორგი სიორიძის სახით**, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 გრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1.შესყიდვის ობიექტი

1.1. ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და საუბნო სამსახურებისთვის კონდიციონერებისა და სამონტაჟო მომსახურების შესყიდვა.

N	პროდუქციის დასახელება	რაოდ.	ღირებულება	თანხა
1	კონდიციონერი - HYUNDAI - ESF-18HN1	4	1 014,99	4059,96
2	კრონშტეინი - Elit Electronics - SKD1824+SU3	4	35,00	140
3	სერვისი-SERVICE- სტანდარტული მონტაჟი	1	100,00	100
4	სერვისი-SERVICE- დემონტაჟი	1	90,00	90
5	სერვისი-SERVICE- მონტაჟის მომსახურება	1	80,00	80
6	სერვისი-SERVICE-მონტაჟის მომსახურება	1	80,00	80
7	სერვისი-SERVICE-მონტაჟის მომსახურება	1	80,00	80
8	სერვისი-SERVICE-დემონტაჟი	1	90,00	90
9	სერვისი-SERVICE- დემონტაჟი	1	90,00	90
	სულ:			4 809,96

1.2.კლასიფიკატორის კოდი (CPV42512200 კოდი)

2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4 809,96 (ოთხი ათას რვაას ცხრა ლარი და 96 თეთრი)** ლარი .

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღე.

3.2. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სანზონა კ.16-ის მ/ტ.(ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა), გურამიშვილის ქ. N70, დადიანის ქ. N148, დადიანის ქ. N34.

4. ხელშეკრულების ძოქმედების ვადა:

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა'' და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს'' წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს;

6.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს ,,მიმწოდებელს" ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

6.3. თუ „მიმწოდებელი" ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს ,,მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული დეფექტების გამოსწორება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში;

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის;

7.4. ანგარიშსწორება ,,შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში;

7.5 იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე;

7.6. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

_ განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისპრობების დაცვაზე;

- უარი თქვას უხარისხო მომსახურეობის მიღებაზე;

8.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

_ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს" მომსახურეობის მიწოდებასთან დაკავშირებულიყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

_ მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებულიპირობების შესაბამისად;

- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

8.3 ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

_ მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" მიწოდებული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურებახელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

_ გააფრთხილოს ,,შემსყიდველი" მომსახურეობის მიწოდების პროცესში შეფერხებისშესახებ;

_ დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდანშესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

10.3. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას;

10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებისდადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა;

10.6. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

11.3. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურეობა ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.6 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. ძალაზე, ოთხელსაც ძალაქმა ფოროს-ძალოროული გარეშეოება დაუყოვნებლივ ხელილობით აცნობებს ამის ძესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით;

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.;

14.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით;

14.7. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა	**ს.ს. ელიტ ელექტრონიქსი**
მის: ქ. თბილისი, სანზონა კორპ.16 მ/ტ	მის: ვაგზლის მოედანი №2
ს/კოდი: 200279527	ს/კ: 202268928
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა #GE24NB0330100200165022	ა/ა GE69TB0600000120467205
ტელეფონი: +99532 2371076	ტელ: +995 32 48 48 48
გამგებლის მ/შ ---------- **გოჩა ჯანელიძე**	**მენეჯერი** ---------- **გიორგი სიორიძე**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2016 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის მიერ გამარტივებული შესყიდვის შედეგად 2016 წლის „23“ დეკემბერს გაფორმებული №10.28/10/139 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაძალადევის რაიონის გამგეობისა და საუბნო სამსახურებისთვის კონდიციონერებისა და სამონტაჟო მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულების მიმდინარეობის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: გ. ჯანელიძე

გ. ჩაკვეტაძე